



Project is co-funded  
by the European Union

# ერთნაირ პრობლემებს ერთობლივი გადაჭრა (საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურების გაუმჯობესება ქალაქ იჯევანსა და ქალაქ ბოლნისში)

მომზადებულია ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“  
რეგიონალური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში

ავტორი: რევაზ ეგაძე

ამ დოკუმენტში გაანალიზებულია მყარი ნარჩენის მართვის სფეროში საქართველოში ამჟამად მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო, ასევე, განხილულია ამ სფეროსთან დაკავშირებული პოლიტიკა და ზოგიერთი აქტუალური პრობლემა და რეკომენდაციების სახით წარმოდგენილია მათი გადაჭრის გზები.



## შესავალი

მყარი ნარჩენის მართვის სფეროში არსებული ზოგადი სურათის განსაზღვრისათვის ყველაზე მკაფიო მაჩვენებლად შეიძლება ქვეყანაში არსებული ნაგავსაყრელები ჩაითვალოს. აღნიშნულ ნაგავსაყრელ პოლიგონებზე ნარჩენის ყველანაირი სახეობა ერთად იყრის თავს ყოველგვარი პირველადი დამუშავების გარეშე და ამ მასის მოვლა-პატრონობა არც შემდგომ პერიოდში ხდება, რაც დიდ ზიანს აყენებს გარემოს და, განსაკუთრებით, ადამიანების ჯანმრთელობას.

ნარჩენების მართვა კომპლექსურ და მრავალმხრივ მიდგომებს საჭიროებს, რაც გულისხმობს საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებულ მკაცრად რეგლამენტირებულ საკანონმდებლო ნორმებს და შესაბამის ტექნიკურ გადაწყვეტებს სახელმწიფო სტრუქტურების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ინსტიტუტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ატიური ჩართულობით ქვეყანაში ნარჩენების მართვის გამართული სისტემის შექმნის მიზნით.

ნარჩენების სწორად მართვა მნიშვნელოვან ინვესტიციებს, ძალისხმევასა და რეფორმებს მოითხოვს, მით უმეტეს მაშინ, როცა ქვეყანაში ბევრი რამ ნულიდან არის დასაწყები. ნარჩენების საკითხის ღრმად შესწავლისას იკვეთება მრავალი პრობლემა, რომელთაგან შეიძლება შეირჩეს პრიორიტეტული მიმართულებები და ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც უახლოეს მომავალშია შესაძლებელი.

თუმცა, ასეთი მდგომარეობისა და პრობლემის სიმწვავის მიუხედავად, ნარჩენების მართვის სფეროში ძალზე მნიშვნელოვან და სასარგებლო გადაწყვეტილებად უნდა იქნას მიჩნეული 2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიღება.

## საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა მუნიციპალური ნარჩენის სფეროში

### • ნარჩენების მართვის კოდექსი, 2014;

„ნარჩენების მართვის კოდექსი“, შესაბამისობაშია ასოცირების ხელშეკრულებით („ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“) ნაკისრ ვალდებულებებსა და ევრო-დირექტივების მოთხოვნებთან.

კოდექსის მიზანია ამ სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსათვის უსაფრთხო გზით დამუშავებას.

კოდექსის მიხედვით, ნარჩენი არის ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, აპირებს მოშორებას ან ვალდებულია მოიშოროს. საყოფაცხოვრებო ნარჩენები კი - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენებია.

კანონი განმარტავს რეციკლირებისა და სეპარირების ტერმინებსაც. რეციკლირება იმ აღდგენით ღონისძიებებს მოიცავს, რომელთა საშუალებითაც, ნარჩენები გარდაიქმნება მეორად პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას თავდაპირველი ან სულაც სხვა მიზნით. სეპარირებული შეგროვების დროს კი ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობების და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით.

ახალი კოდექსი ნარჩენების მართვის სფეროში საჯარო უწყებების კომპეტენციებს მიჯნავს:

ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება, ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, ნარჩენების პრევენციის, სეპარირების, წინასწარი დამუშავებისა და ხელახალი გამოყენების, გადამუშავების ღონისძიებების ხელშეწყობა გარემოს დაცვის სამინისტროს პრეროგატივაა;

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციებში კი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა შედის. სამინისტრო ამას მის დაქვემდებარებაში მყოფი შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მეშვეობით განხორციელებს. მუნიციპალური ნარჩენების მართვა კი ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქცია იქნება.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებში რამდენჯერმეა განმარტებული, რომ ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა განხორციელდეს ნარჩენების სახეობებისა და შემადგენლობის მიხედვით, რათა შესაძლებელი იყოს მათი შემდგომი გადამუშავება. თუმცა, დამატებით ვალდებულებებსა და კონკრეტულ მოთხოვნებს სეპარირებასთან დაკავშირებით კანონი არ აწესებს.

#### ჯარიმები

კოდექსმა დანაგვიანების ხარისხისა და დარღვევით განთავსებული ნარჩენების ხასიათისა და ოდენობების შესაბამისად კონკრეტული საჯარიმო სანქციები განსაზღვრა, რაც 80-დან 2000 ლარამდე ფარგლებშია წარმოდგენილი.

მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა მხრიდან დარღვევების გამოვლენა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ფუნქცია იქნება.

#### ნაგავსაყრელები

ნაგავსაყრელები კოდექსის მიხედვით 3 კატეგორიად იყოფა: სახიფათო ნარჩენების, არასახიფათო ნარჩენებისა და ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელებად.

რაც შეეხება უკვე არსებულ ნაგავსაყრელებს, კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ არსებული ნაგავსაყრელი მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში განაგრძობს, თუ მას აქვს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვა ან თუ სამინისტრო შეათანხმებს ნაგავსაყრელის შესაბამისობაში მოყვანის გეგმას.

თუკი ნაგავსაყრელს შესაბამისი ნებართვა არ აქვს, მისი ოპერატორი ვალდებულია მთავრობის შესაბამისი დადგენილების მიღებიდან 6 თვეში სამინისტროს ნაგავსაყრელის შესაბამისობაში მოყვანის გეგმა შეუთანხმოს. ამ პერიოდში ნაგავსაყრელი ფუნქციონირებას განაგრძობს.

იმ შემთხვევაში, თუკი ნაგავსაყრელი სერიოზულ რისკს შეიცავს გარემოსთვის და ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ოპერატორის მიერ ამ რისკის თავიდან აცილება შეუძლებელია, ასეთი ნაგავსაყრელები უნდა დაიხუროს კოდექსის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 4 წლისა.

#### სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

კანონის თანახმად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია, შეიმუშაოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია, რომელმაც მომავალი 15-

წლიანი პერიოდისთვის საქართველოში ნარჩენების მართვის ეროვნული პოლიტიკა და მიზნები უნდა განსაზღვროს.

ყოველ 5 წელიწადში ერთხელ კი სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს ნარჩენების მართვის 5-წლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა. 5-წლიანი სამოქმედო გეგმა უნდა შეიმუშაონ მუნიციპალიტეტებმაც. თუმცა მათთვის ვადა უფრო ხანგრძლივია: მათ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა ეროვნული გეგმის მიღებიდან ორი წლის ვადაში უნდა დაამტკიცონ.

რაც შეეხება კერძო კომპანიებს, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც წელიწადში წარმოქმნიან 200 ტონაზე მეტ არასახიფათო ნარჩებს, 5 ტონაზე მეტ სახიფათო ნარჩენს ან 1000 ტონაზე მეტ ინერტულ ნარჩენს, ვალდებული არიან, შეიმუშაონ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, რომელსაც 3 წელიწადში ერთხელ განახლებენ. მართვის პირველი გეგმა კი 2016 წლის 31 დეკემბრამდე უნდა შემუშავდეს.

სიახლეა ისიც, რომ კოდექსს შემოაქვს გარემოსდაცვითი მმართველის ცნება და პოზიცია. ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ზემოთაა ნახსენები, ვალდებულია ჰყავდეს გარემოსდაცვითი მმართველი, პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება-განახლებაზე, გეგმის შესრულების ორგანიზებაზე და ნარჩენების მართვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების კონტროლზე.

თუმცა კანონის მოთხოვნები კერძო სექტორის მიმართ ამით არ შემოიფარგლება. კოდექსი „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების“ პრინციპსაც ამკვიდრებს, რაც გულისხმობს რომ: ისეთი პროდუქტის (შეფუთვა, ზეთები, საბურავები, ბატარეები, აკუმულატორები, ელექტრომოწყობილობები) უშუალო მწარმოებლებმა და ბაზარზე განმათავსებლებმაც, რომელიც შემდგომში სპეციფიკური ნარჩენი ხდება, უნდა იზრუნონ, რომ პროდუქტს მიეცეს ისეთი ფორმა, რასაც გარემოზე ნაკლები ნეგატიური გავლენა ექნება და შესაძლებელი გახდება ნარჩენების შემდგომი აღდგენა და განთავსება.

ეს ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს ისეთი პროდუქტის წარმოება და ბაზარზე განთავსება, რომელიც განკუთვნილია მრავალჯერადი გამოყენებისთვის, ტექნიკურად გამძლეა, მისგან წარმოქმნილი ნარჩენები ხელსაყრელია აღდგენისთვის და უსაფრთხოა გარემოში განსათავსებლად. თუმცა ამ მიმართულებითაც, მთავრობამ დამატებით კანონქვემდებარე აქტები და დადგენილებები უნდა გამოსცეს, რომლებიც კონკრეტულ ვალდებულებებს ჩამოაყალიბებს.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014;**

საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის 2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება მყარი (საცოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა. რაც გულისხმობს, მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიულ ერთეულებში (ქალაქი, დაბა, სოფელი) საზოგადოებრივი სივრცეების დასუფთავებას მყარი ნარჩენებისაგან და მათ გატანას ნაგავსაყრელების ტერიტორიაზე.

ამ სფეროში სახელმწიფო სტანდარტი ან ტექნიკური რეგლამენტები ამ ეტაპისთვის არ არსებობს (გარდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #64 დადგენილებისა „სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლობის სანიტარიული წესები და ნორმები“), შესაბამისად, საკითხის რეგულირებას მუნიციპალიტეტები საკუთარ თავზე იღებენ. კოდექსი არ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ ნაგავსაყრელების მართვას და შესაბამისად, ეს სფერო ცენტრალური ხელისუფლების

პროგნოზს წარმოადგენს. ამიტომ, მთავრობის მიერ 2013 წლის 31 დეკემბერს N416 დადგენილებით მიღებული ტექნიკური რეგლამენტი - „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობისა და ექსპლუატაციის წესები და ნორმები“ ადგილობრივ თვითმმართველობებს არ ეხება.

დასახლებული ტერიტორიის მყარი ნარჩენებისგან დასუფთავების მოსაკრებლის შემოღება და მისი განაკვეთების დადგენა ხდება „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ადგილობრივი მოსაკრებლები გადაიხდევენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად. რაიმე სახელმწიფო რეგულაცია მოსაკრებლის ამოღების შესახებ არ არსებობს, რაც მუნიციპალიტეტებს საშუალებას აძლევს თვითონ განსაზღვრონ ამოღების მექანიზმები და მეთოდები.

- **საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, 2007;**

ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების საკითხებს არეგულირებს 2007 წლის 14 დეკემბრის კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ (უფრო ადრე კი, არეგულირებდა 1996 წლის კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“). კანონის თანახმად, ნარჩენებთან დაკავშირებული საქმიანობები საჭიროებენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. კერძოდ, თუ პირი გეგმავს მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავებას (მათ შორის, ნარჩენების დაწვის ქარხნების მოწყობას), ნაგავსაყრელების მოწყობას, ტოქსიკური და სხვა სახიფათო ნარჩენების განთავსებას, მათი სამარხების მოწყობას, ამ ნარჩენების გადამუშავებას და გაუვნებლებას, ის ვალდებულია მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და წარადგინოს გარემოს დაცვის სამინისტროში საქმიანობის წარმართვის უფლების (გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის) მოსაპოვებლად.

გარდა აღნიშნული კანონებისა ქვეყანაში დადგენილი წესით მოქმედებს საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მიღებული დადგენილებები, რომლებიც რეგულირდება ნარჩენის მართვის კონკრეტული საკითხები.

ქართულ კანონმდებლობასთან ერთად რატიფიცირებული და მხარდაჭერილია საერთაშორისო კონვენციები, დირექტივები და შეთანხმებები, რომლებიც შემხებლობაშია ნარჩენების მართვის სფეროსთან.

- კონვენცია გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, Aarhus, Denmark, 1998. (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 11 თებერვლის N135 დადგენილებით);
- კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ, Stockholm, Sweden, 2001 (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 11 აპრილის N 2840-1ს დადგენილებით);
- ევროპარლამენტის დირექტივა 2008/98/EC, 2008 წ.
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, 2014.

# მყარი ნარჩენის სფეროს მართვა და საქმიანობაში ჩართული მხარეები

მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის მიმართულებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პროექტების განმახორციელებლები არიან:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;  
შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

რეგიონებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონების (ნაგავსაყრელების) მოვლა-რეკონსტრუქციაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“. კომპანიის მიზანს წარმოადგენს რეგიონებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ევროპული სტანდარტების დანერგვა, არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა და ახალი ნაგავსაყრელების მშენებლობა (საქართველოს მასშტაბით დაგეგმილია სულ 8 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელის გახსნა, რომელთაც სრულად უნდა უზრუნველყონ ნარჩენების განთავსება).

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;

შპს „თბილსერვის ჯგუფი“

ქ. თბილისის მერიის სისტემაში შემავალი შპს „თბილსერვის ჯგუფის“ კომპეტენციას განეკუთვნება დედაქალაქში დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და გაუვნებელყოფა, საბოლოო განთავსება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე. ახალი, საერთაშორისო სტანდარტებით გახსნილი თბილისის ნაგავსაყრელის მოვლა-პატრონობა, რომელიც 2010 წლის ნოემბერში გაიხსნა და 84 ჰა-ს მოიცავს. ასევე კომპანიის კომპეტენციის ფარგლებში შედის ქ. თბილისის მასშტაბით, ქალაქის დაბინძურების პრევენციის კუთხით დააჯარიმოს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები.

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

შპს „სანდასუფთავება“

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ორი ძველი - ბათუმის და ქობულეთის ნაგავსაყრელი ემსახურება. ბათუმის ნაგავსაყრელის მოვლა-პატრონობას ახორციელებს შპს „სევერი“, ხოლო ქობულეთის - შპს „სანდასუფთავება“. შპს „სანდასუფთავება“, რომელიც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაშია, ნარჩენების მართვას რამდენიმე მიმართულებით ახორციელებს: ქალაქის დაგვა-დასუფთავება, სანაპირო ზოლის დასუფთავება, ეზოებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება, მწვანე ზოლის დასუფთავება, ნარჩენების გამოტანა, კონტეინერების გარეცხვა, სამედიცინო ნარჩენების გატანა და ინსინიატორით განადგურება, ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ დასუფთავების წესების (დანაგვიანება) დარღვევების გამოვლენა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სულ 6 მუნიციპალიტეტია, აქედან ერთი ქალაქი - ბათუმი. კომპანია სამი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში პასუხისმგებელია ნარჩენების დასუფთავებასა და გატანაზე, ხოლო სამ მუნიციპალიტეტს მხოლოდ ნარჩენების გატანით ემსახურება.

- **თვითმმართველი ერთეულები - მუნიციპალიტეტები;**

უმეტეს მუნიციპალიტეტებში ნარჩენების შეგროვება-გატანაზე პასუხისმგებლები არიან ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, რომლებიც მომსახურებას ეწევიან ძირითადად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხოლო სოფლებში უმეტეს შემთხვევებში არ ხდება მომსახურების გაწევა.

მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი ნაგავსაყრელის გარდა არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების მოვლა-პატრონობა უმეტეს მუნიციპალიტეტში არ ხორციელდება (მუნიციპალიტეტებში ძირითადი ნაგავსაყრელების მოვლას 2012 წლიდან ახორციელებს შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“).

თვითმმართველ ერთეულებს ნარჩენების მართვისთვის საჭირო ტექნიკითა და ურნებით უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული, მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი კომპანიები (გარდა იმ მუნიციპალიტეტებისა, სადაც ნარჩენების მართვას განაგებს მუნიციპალიტეტის გამგეობა).

- **გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;**

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკის გამტარებლის როლს ასრულებს, ასევე მას ეკისრება პასუხისმგებლობა ნაგავსაყრელების ნებართვების გაცემისა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის საკითხებში.

რაც შეეხება ნებართვის აღების პროცედურას, კომპანია, რომელიც ემსახურება ნაგავსაყრელს, წარადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშს და აქვეყნებს ინფორმაციას გაზეთში საჯაროდ, რათა საზოგადოება იყოს ინფორმირებული. 50-60 დღეში ხდება საკითხის განხილვა. განხილვის შემდეგ განმახორციელებელს ანუ ნაგავსაყრელზე პასუხისმგებელ კომპანიას ეძლევა 1 წლიანი ვადა, რათა გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტი მოიყვანოს სისრულეში. ერთი წლის შემდგომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი 15 დღის ვადაში გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომელსაც ხელს აწერს დეპარტამენტის თავმჯდომარე და მტკიცდება მინისტრის მიერ.

რაც შეეხება ნებართვის გაცემის შემდგომ მონიტორინგს, ეს საკითხი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კომპეტენციაა. პირობების დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებულია სანქციები. მას შემდეგ, რაც გარემოზე ზემოქმედების დეპარტამენტი გასცემს ნებართვებს ნაგავსაყრელების მოწყობაზე, პასუხისმგებლობა გადაეცემა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს, რათა ნებართვით გათვალისწინებული პირობები არ დაირღვეს.

საქართველოს მასშტაბით, ორი მიმართულებით ხორციელდება დანაგვიანების პრევენცია: სწრაფი რეაგირების ჯგუფები (ბრაკონიერობა) და ინსპექციის განყოფილება (ლიცენზია, დაბინძურების კონტროლი).

ადგილზე მონიტორინგის ჩატარებაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ტექნიკით დახმარებას უწევს გარემოს ეროვნული სააგენტო. რაც შეეხება ძველ ნაგავსაყრელებს, მონიტორინგი არ ხდება, რადგან მათი განცხადებით არ არსებობს გაცემული ნებართვები, რის საფუძველზეც ჩაატარებდნენ გარემოსდაცვით საზედამხედველო სამუშაოებს.

## არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები

მიუხედავად მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვის სფეროში უკანასკნელ წლებში გარკვეული წარმატებული გადაწყვეტილებებისა და აქტივობებისა აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი საკითხები:

- თვითმმართველობები, გამომდინარე ადგილზე არსებული სიტუაციიდან და ზღვრული მაქსიმუმის ფარგლებში თვითონ განსაზღვრავენ მყარი ნარჩენების გატანის სერვისის ფასს;
- არ არსებობს ნარჩენების მართვის ზოგადი ხასიათის, ან კონკრეტული ამოცანის გადაჭრის სახელმწიფო სტანდარტები ან ტექნიკური რეგლამენტები.
- მყარი ნარჩენების გატანის სერვისის წარმოების პრაქტიკა კერძო სუბიექტების მიერ მუნიციპალიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე არ არის დამკვიდრებული. მყარი ნარჩენების გატანას ახორციელებენ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები, რაც შედარებით მეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული;
- არ არსებობს მყარი ნარჩენების კატალოგი (სახელმწიფო სტანდარტი ან ტექნიკური რეგლამენტი), სადაც განსაზღვრული იქნება ნარჩენების კატეგორიები და კონკრეტული მიდგომები კატეგორიების მიხედვით;
- არ არის ჩამოყალიბებული ნარჩენების მართვის ჩარჩო ხასიათის პროგრამები, რომლითაც განისაზღვრება ამ სფეროს ძირითადი მიზნები საშუალოვადიან ან გრძელვადიან პერსპექტივაში.
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მომსახურება არ მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას.
- მცირე ზომის ქალაქებსა და სასოფლო დასახლებებში ნარჩენების შეგროვების საშუალებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში მოძველებული და არასტანდარტულია; შეგროვების სისტემა არაეფექტურია.
- არ ხდება მუნიციპალური ნარჩენების სეპარირება და შესაბამისი შეგროვება.
- საჯარო-კერძო პარტნიორობის პოლიტიკა არ არის ნათლად ჩამოყალიბებული.
- სახიფათო ნარჩენები (მაგ. სამედიცინო და სხვა სპეციფიკური ნარჩენები) კვალავ ხვდება ნაგავსაყრელებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს არ გააჩნია მდიდარი გამოცდილება მყარი ნარჩენების მართვის სფეროში, მიზანშეწონილი იქნება, რომ ეტაპობრივად დაინერგოს წარმატებული ევროპული მიდგომები და ნორმები.

ევროკავშირის მთავარი ნორმატიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზე ხდება ნარჩენების მართვა და რომლითაც განსაზღვრულია საკანონმდებლო ჩარჩოები და ძირითადი პრინციპები, არის 2006 წლის 5 აპრილის ჩარჩო დირექტივა 2006/12/EC (OJ 2006 L 114/9) „ნარჩენების შესახებ“. ამ დირექტივამ შეცვალა წინა, N 75/442/EEC დირექტივა. დირექტივა იძლევა ტერმინებისა და ცნებების ერთიან განმარტებებს, როგორცაა „ნარჩენები“, „უტილიზაცია“ და ა.შ. საკუთრივ ნარჩენები განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი სუბსტანცია ან საგანი, რომლის მოშორებაც მფობელს სურს, მოცილა, ან უნდა მოცილოს არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით.“ ამ დირექტივით განსაზღვრულია ნარჩენების 16 კატეგორია, რომლის საფუძველზე შემოღებულია „ნარჩენების ევროპული კატალოგი (გადაწყვეტილება 2000/532/EWG). ეს კატალოგი პერიოდულად ახლდება.



დირექტივით განსაზღვრულია ნარჩენების მართვის ძირითადი პრინციპები, რითაც რეგულირდება ამ სფეროს მართვის სუბიექტების საქმიანობა. მათ მიეკუთვნება: ნარჩენების წარმოქმნის მოცულობის ზრდის აღკვეთა და მათი მავნებლობის ხარისხის შემცირება; ხელმეორედ გამოყენება და მეორადი გადამუშავება, ნარჩენებისაგან ფასეული კომპონენტების ამოღება; უტილიზაცია ენერჯის მისღებად; ნარჩენების უსაფრთხო განთავსება (გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში, როცა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები შეუძლებელია განსახორციელებლად). დირექტივაში არსებული ნარჩენებთან მიმართების სხვა განმსაზღვრელი პრინციპია „მეწარმის პასუხისმგებლობა“.

ევროკავშირის ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვის ნორმატიული დოკუმენტები შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად:

პროგრამები (Action Programs) - აქვთ ჩარჩო ხასიათი, რომლითაც განისაზღვრება ევროკავშირის ქვეყნებში ამ სფეროს ძირითადი მიზნები საშუალოვადიან ან გრძელვადიან პერსპექტივაში (3-5 წელი, თუმცა შესაძლებელია 10 წელიც).

ნორმატიული აქტები (ხელშეკრულება, დირექტივა, წესები, ნორმატივები) - მათ ზოგადი ხასიათი შეიძლება ქონდეთ ან ეხებოდნენ კონკრეტული ამოცანის გადაჭრას.

მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციის ფუნდამენტური ცნებაა - „იხდი იმდენს, რამდენსაც აგდებ“. ეს სქემა გამოიყენება, როგორც შინამეურნეობების, ასევე სხვა ნარჩენების წარმომქმნელთა მიმართ და ითვალისწინებს ნარჩენების გამტანი კომპანიების მომსახურების საფასურის გადახდას ნარჩენების მასის მიხედვით. ამ სქემის ალტერნატივას წარმოადგენს ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში შემოღებული ნარჩენების ტრანსპორტირების, განთავსებისა და უტილიზაციის ფიქსირებული გადასახადი. მაგალითად, ეს გადასახადი სკანდინავიის ქვეყნებში და ჰოლანდიაში შეადგენს 20-50 ევროს ერთ ტონაზე. დანიაში, ნორვეგიაში და ჰოლანდიაში ასევე არის ნარჩენების დაწვის გადასახადი.

ევროპული მიდგომების გათვალისწინებით შესაძლებელია შემუშავდეს რიგი რეკომენდაციები, რომლებიც კიდევ უფრო დაიხვეწება და რეალიზებული იქნება სახელმწიფოს, უცხოელი პარტნიორების, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესისა და რიგითი მოქალაქეების ერთობლივი მიზანმიმართული აქტივობებით:

- სახელმწიფომ უნდა შეძლოს კონკრეტული საკანონმდებლო საგადასახადო შეღავათების შემოღებით იმ კერძო ორგანიზაციების დაინტერესება, რომლებიც პერსპექტივაში მოგებულ ტენდერების შედეგად ითანამშრომლებენ მუნიციპალიტეტებთან მყარი ნარჩენების გატანის კუთხით. ასეთ შემთხვევაში დაიზოგება ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო სახსრები, რომლებიც მიმართულია მუნიციპალური ა(ა)იპებისა და შპს-ბის სუბსიდირებისკენ. მყარი ნარჩენების გატანა გახდება უფრო ეფექტური და ეფექტიანი.
- სახელმწიფო სტანდარტის - „მყარი ნარჩენების კატალოგის“ შემოღება, სადაც განსაზღვრული იქნება ნარჩენების კატეგორიები და კონკრეტული მიდგომები კატეგორიების მიხედვით გახდება ნარჩენების დახარისხების და კატეგორიების მიხედვით გატანის საფუძველი. შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობა და მათი მეორადი მოხმარების ალბათობა.

„მყარი ნარჩენების კატალოგი“ უნდა შემუშავდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ. იგი მიღებული უნდა იქნას მინისტრის ბრძანებით. მეორე

ალტერნატივად შეიძლება არჩეული იქნას კატალოგის დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ, რადგან პრობლემა ზოგადია და ბევრ სფეროს მოიცავს.

საფუძვლად კატალოგის შემუშავებისთვის შესაძლებელია აღებული იქნას „European Waste Catalogue and Hazardous Waste List“. დოკუმენტი მიღებულია „Environmental Protection Agency“-ს მიერ. გადაწყვეტილების ნომერია 2000/532/EWG.

- „მყარი ნარჩენების კოდექსი“ ადგენს მუნიციპალიტეტების ვალდებულებას შეიმუშავონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები. ამასთან ერთად, კომპანიები (რომლებიც წარმოქმნიან კანონით დადგენილ ზღვრულ რაოდენობაზე მეტ ნარჩენს) ვალდებული არიან შეიმუშავონ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმები და დანიშნონ კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველი.
- მიუხედავად, იმისა, რომ მუნიციპალიტეტებს მწირი შესაძლებლობები აქვთ სტრატეგიული გეგმების შემუშავების სფეროში, აუცილებელია მყარი ნარჩენების მართვის ეროვნული გეგმის პარალელურად და „მყარი ნარჩენების კოდექსის“ შესაბამისად მათთვის სავალდებულო გახდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის საშუალოვადიანი სტრატეგიების შემუშავება. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის შესაქმნელად საჭირო გახდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მათთვის ტექნიკური დახმარების გაწევა ტრენინგების სახით.

ნარჩენების მართვისა და სანიტარული დასუფთავების სამართლებრივი საკითხების

შედარებითი ანალიზი

სომხეთი და საქართველო

2016 წ.

	სომხეთი	საქართველო
<b>1. სამართლებრივი რეგულირება</b>		
სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოთა მიერ	სფეროს მარეგულირებელი ძირითადი საერთაშორისო კონვენციები / შეთანხმებები რატიფიცირებულია (იხ. დანართი). შემდგომისგვარად იყო ეროვნული კანონმდებლობით სფეროს რეგულირების მცდელობა, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს ცნებები და ურთიერთობები, რომელთა განმარტება არ არის დაფიქსირებული, რომლებიც არ არის რეგულირებული.	სფეროს მარეგულირებელი ძირითადი საერთაშორისო კონვენციები / შეთანხმებები რატიფიცირებულია (იხ. დანართი). ეროვნული კანონმდებლობით მკვეთრად არის რეგულირებული დარგის ყველა ურთიერთობა.
შიდა სახელმწიფო სამართლებრივი აქტების არსებობა და მათი შესაბამისობა რატიფიცირებულ ხელშეკრულებებთან	სფეროს მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტები არსებობს: "ნარჩენების მართვისა და სანიტარული დასუფთავების შესახებ" და „ნარჩენების შესახებ“ სომხეთის რესპუბლიკის კანონები. კვლევაში ასევე დეტალურად არის შესწავლილი დარგის მარეგულირებელი ყველა	ნარჩენების მართვის კოდექსი, რომელიც შეესაბამება ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ევროდირექტივებით საქართველოს ნაკისრ ვალდებულებებს.

	სომხეთი	საქართველო
	სამართლებრივი აქტი.	
ნაგვისა და ნარჩენების განმარტებების მკაფიოობა	ძირითადი განმარტებები მოცემულია ზემოხსენებული კანონებით.	ძირითადი განმარტებები მოცემულია ზემოხსენებული კოდექსით.
ნარჩენების პრევენციის, დახარისხების, გადამუშავების, უტილიზაციის/ მეორადი გამოყენების მკაფიო მოთხოვნა ეროვნულ კანონმდებლობაში	ეროვნულ კანონმდებლობაში მკაფიოდ არ არის განმარტებული ნაგვის პრევენციის, დახარისხების, გადამუშავების, გამოყენების/ მეორადი გამოყენების მკაფიო მოთხოვნა. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებში განიმარტება და გარკვეული მოთხოვნები წარედგინება ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას და დამუშავებას, მაგრამ სინამდვილეში ძალიან ხშირად სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად.	საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში მკაფიოდ არის განმარტებული ნაგვის პრევენციის, დახარისხების, გადამუშავების, გამოყენების/ მეორადი გამოყენების მოთხოვნა. კანონი ასევე მკაფიოდ განმარტავს <b>ტერმინებს „რეციკლირება“ და „სეპარირება“</b> . სეპარირებული შეგროვება – ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობისათვის განცალკევებულია სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებში რამდენიმეჯერ არის განმარტებული, რომ ნარჩენების შეგროვება, დახარისხება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა მოხდეს ნარჩენების სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით, რათა შესაძლებელი გახდეს მათი შემდგომი გადამუშავება. მაგრამ სეპარირებასთან დაკავშირებით, დამატებით ვალდებულებებსა და კონკრეტულ მოთხოვნებს კანონი არ განსაზღვრავს.

		სომხეთი	საქართველო
2.	<p>ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციები</p>	<p><i>ნარჩენების მართვის სფეროში სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სფეროს სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავება;</li> <li>- სტანდარტების, კატეგორიების და პასუხისმგებლობის საშუალებათა განმარტება;</li> <li>- სახელმწიფო მართვის ორგანოთა საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლის უზრუნველყოფა;</li> <li>- მცირე ნარჩენებიანი ტექნოლოგიების დანერგვის წახალისება, ლიცენზირების და სერტიფიცირების წესების განსაზღვრა;</li> <li>- სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება.</li> </ul> <p>სომხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო ახორციელებს <i>სახელმწიფო გარემოსდაცვით ექსპერტიზას და აწარმოებს ნარჩენების სახელმწიფო კადასტრს. მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მონაწილეობა სფეროს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო პროგრამების</li> </ul>	<p><i>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>-ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;</li> <li>-განვითარების ეროვნული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება;</li> <li>-ნარჩენების პრევენციის, სეპარირების, წინასწარი დამუშავების, ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების ხელშეწყობა;</li> </ul> <p><i>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა. სამინისტრო ამას ახორციელებს მის დაქვემდებარებაში მყოფი "მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" მეშვეობით.</li> </ul>

		სომხეთი	საქართველო
		<p>მომზადებაში;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- რეგიონის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში რეგიონალური მნიშვნელობის პროექტების შედგენა და მათი განხორციელების კოორდინირება;</li> <li>- ნარჩენების მართვის ზედამხედველობა;</li> <li>- ნარჩენების შექმნის, დამუშავების და გამოყენების ობიექტების და განთავსების ადგილების სარეგისტრაციო ჟურნალების შედგენა და მართვა, პასპორტირების ორგანიზება;</li> <li>- მათი ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არაკონტროლირებადი და უნებართვო ნაგავსაყრელების გაუქმება (ლიკვიდაცია).</li> </ul>	
	<p><b>თემის ხელმძღვანელის სავალდებულო, დელიგირებული და ნებაყოფლობითი კომპეტენცია</b></p>	<p><b>თემის ხელმძღვანელი ახორციელებს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ნარჩენების გატანის საფასურის გადამხდელთა აღრიცხვას;</li> <li>- ნარჩენების გატანის საფასურის დაანგარიშებას, გადასახადის შეგროვებას და თემის ბიუჯეტში გადარიცხვას;</li> <li>- კონტროლს ნარჩენების გატანის საფასურის გადამხდელთა აღრიცხვის, ნარჩენების გატანის საფასურის დაანგარიშების, ასევე ამ</li> </ul>	<p>მუნიციპალური ნარჩენების მართვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციაა. კოდექსი არ ითვალისწინებს ნაგავსაყრელების მართვას მუნიციპალიტეტების მიერ და შესაბამისად ეს სფერო ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, 2013 წლის 31 დეკემბრის No. 416 გადაწყვეტილებით მიღებული "მყარი საყოფაცხოვრებო</p>

		სომხეთი	საქართველო
		<p>გადასახადის შეგროვების წესის დაცვაზე;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ტერიტორიების სანიტარული დასუფთავების სქემების შედგენას;</li> <li>- არაკონტროლირებადი და უნებართვო ნაგავსაყრელების გაუქმებას (ლიკვიდაციას).</li> </ul> <p><b>თემის საკრებულო განსაზღვრავს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ნაგვის შეგროვების საფასურის გადამხდელთა აღრიცხვის პროცედურებს;</li> <li>- ნაგვის მოცულობის დაახლოებით დაანგარიშებას;</li> <li>- სანიტარული დასუფთავებას დასაქვემდებარებელ ტერიტორიებს;</li> <li>- სანიტარული დასუფთავების სამუშაოების მოცულობას;</li> <li>- ნაგვის შეგროვების, შენახვის, ტრანსპორტირების, განთავსების, დახარისხების და გაუვნებელყოფის ფორმებსა და მეთოდებს;</li> <li>- საჭირო მანქანა-მექანიზმების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.</li> </ul>	<p>ნარჩენების ნაგავსაყრელების ორგანიზებისა და ექსპლუატაციის წესები და ნორმები“ ტექნიკური რეგულაცია არ ეხება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს.</p>
3.	<p>ნარჩენების გატანის ორგანიზება / ნარჩენების თვითგადატანა, ნარჩენების გატანის მიმართ წაყენებული მოთხოვნები</p>	<p>ნარჩენების გატანის ორგანიზებისა და ასევე ნარჩენების თვითგადატანის მიმართ წაყენებული მოთხოვნები</p>	<p>სფერო ძირითადად დარეგულირებულია, რასაც საფუძვლად უდევს სფეროს დარეგულირებასთან დაკავშირებული</p>

	სომხეთი	საქართველო
	<p>განსაზღვრულია კანონმდებლობით, მაგრამ საჭიროა თემში ნარჩენების გატანის და სანიტარული სფეროს მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი აქტების მიღება, რომლებიც თემის მცხოვრებთა, სფეროს ადმინისტრატორთა და მომსახურე პერსონალის ურთიერთობებს დაარეგულიერებს.</p>	<p>ევროკავშირის დირექტივები. მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვის მიმართულებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პროექტებს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შპს "მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" სახით. რეგიონებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონების (ნაგავსაყრელების) მოვლისა და რეაბილიტაციისთვისაც პასუხისმგებელია შპს "მყარი ნარჩენების მართვის კომპანია".</p>
<p><b>ნაგვის გატანა და სანიტარული დასუფთავება</b></p>	<p>„ნაგვის გატანისა და სანიტარული დასუფთავების შესახებ“ სომხეთის რესპუბლიკის კანონის თანახმად, <b>ნაგვის გატანა</b> დასახლებულ პუნქტებში გაჩენილი ნაგვის შეგროვება, შენახვა, ტრანსპორტირება და ნაგავსაყრელზე განთავსებაა, <b>სანიტარული დასუფთავება</b> კი - თემის საერთო სარგებლობის ტერიტორიების (ქუჩების, პარკების, სკვერების, ეზოების, ტროტუარების, გადასასვლელების, ხიდების, გაზონების, პლაჟების და საერთო</p>	<p>საქართველოში ნაგვის გატანა და სანიტარული დასუფთავება ყველა დასახლებულ პუნქტში სრულდება ზემოაღნიშნული კოდექსების და კანონების საფუძველზე. გარდა ამისა, დადგენილი წესით, ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რითაც რეგულირდება ნარჩენების მართვის კონკრეტული საკითხები.</p> <p>საქართველოს კანონებთან ერთად რატიფიცირებულია და</p>



		სომხეთი	საქართველო
		<p>სარგებლობის სხვა ტერიტორიების) გაწმენდა ნაგვისაგან, ფოთლებისაგან, მტვრისაგან, ცხოველთა ცხედრებისაგან და ქუჩების სავალი ნაწილის მორწყვა და რეცხვა წყლით, ხიდების, მიწისქვეშა გადასასვლელების და ტროტუარების დასუფთავება თოვლისა და ყინულისაგან, ნაგვის ბუნკერების, თემის საერთო სარგებლობისათვის განთავსებული ნაგვის ყუთების მომსახურება.</p>	<p>მხარს უჭერენ საერთაშორისო კონვენციებს, დირექტივებს და შეთანხმებებს, რომლებიც ეხება ნარჩენების მართვის სფეროს.</p>
	<p><b>ქალაქებსა და სოფლებში</b></p>	<p>სომხეთის რესპუბლიკის 49 საქალაქო და ძალიან მცირე რაოდენობის სასოფლო მსხვილ თემებში გარკვეულწილად ხორციელდება ნაგვის გატანა, მაგრამ 866 სასოფლო დასახლებულ პუნქტში არ შეიძლება საუბარი რეგულარული სანიტარული დასუფთავების შესახებ.</p>	<p>რეგიონებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონებზე (ნაგავსაყრელების) ზრუნვისა და რეაბილიტაციისთვის პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემის შპს "მყარი ნარჩენების მართვის კომპანია". კომპანიის მიზანია რეგიონებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პროცესში ევროპული სტანდარტების დანერგვა, არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა და ახალი ნაგავსაყრელების აშენება. თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული შპს „თბილსერვისჯგუფის“</p>

		სომხეთი	საქართველო
			<p>კომპეტენციას განეკუთვნება დედაქალაქის დაგვა, დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და გაუვნებელყოფა, საბოლოო განთავსება მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელზე, 2010 წლის ნოემბერში გახსნილ ახალი საერთაშორისო სტანდარტებით თბილისის ნაგავსაყრელზე, რომელიც 84 ჰექტარს მოიცავს, ზრუნვა და განკარგვა. კომპანიის კომპეტენციას განეკუთვნება ასევე თბილისის მასშტაბით ქალაქის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირების დაჯარიმება.</p> <p>აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ემსახურება ორი ძველი - ბათუმისა და ქობულეთის ნაგავსაყრელი. ბათუმის ნაგავსაყრელის მოვლას და მართვას ახორციელებს შპს „სევერი“, ქობულეთისას - შპს „სანდასუფთავება“. ბევრ მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და გატანისთვის პასუხისმგებელნი არიან ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, რომლებიც მომსახურებას ძირითადად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებენ, ხოლო სოფლებში ხშირად მომსახურების გაწევა არ</p>

		სომხეთი	საქართველო
			ხდება.
	<p>კორპუსებიდან ნარჩენების გატანის ორგანიზების სავალდებულო ნორმები</p>	<p>ნაგვის გატანისა და სანიტარული დასუფთავების სავალდებულო და რეგულარულად შესასრულებელი სამუშაოებია, კანონმდებლობით დადგენილი სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნების დაცვით. მაგალითად, კორპუსებისთვის განსაზღვრულია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მოხმარების ნარჩენების გატანა - მინიმუმ სამ დღეში ერთხელ, ჰაერის + 5°C და მეტი ტემპერატურის შემთხვევაში - ყოველ დღე;</li> <li>- საერთო სარგებლობის ტერიტორიების, ნაგვის ბუნკერის და სანაგვე ყუთების დეზინსექციისა (ბრძოლა მწერების წინააღმდეგ) და დერატიზაციის განხორციელება (ბრძოლა მღრღნელების წინააღმდეგ) მინიმუმ სამ თვეში ერთხელ;</li> <li>- საერთო სარგებლობის ტერიტორიების სანიტარული დასუფთავება - მინიმუმ ორ დღეში ერთხელ.</li> </ul>	<p>თვითმმართველ ერთეულებს ნარჩენების მართვისათვის საჭირო ტექნიკითა და სანაგვე ყუთებით უზრუნველყოფენ ტენდერში გამარჯვებული, მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვისათვის პასუხისმგებელი კომპანიები, (გარდა იმ მუნიციპალიტეტებისა, სადაც ნარჩენების მართვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ).</p> <p>პატარა ქალაქებსა და სოფლის ტიპის დასახლებებში ნარჩენების მართვის საშუალებები, ასეთების არსებობის შემთხვევაში, მოძველებულია და არასტანდარტული, ნარჩენების მართვის სისტემა - არაეფექტიანი.</p>
4.	<p>ნაგავსაყრელების მიმართ წაყენებული მოთხოვნები</p>	<p>ნაგავსაყრელები და ნაგვის გადაყრის ადგილები სომხეთში არ აკმაყოფილებს ელემენტარულ სანიტარულ- ჰიგიენურ</p>	<p>კოდექსის მიხედვით, ნაგავსაყრელები 3 კატეგორიად იყოფა: სახიფათო ნარჩენების, არასახიფათო ნარჩენების და ინერტული ნარჩენების</p>

		სომხეთი	საქართველო
		<p>და ეკოლოგიურ მოთხოვნებს. ნაგვის დაყრის ადგილებში არ ხდება ნარჩენების გაუვნებელიყოფა და გადამუშავება, ნაგავსაყრელის გაუმჯობესების სამუშაოები, მხოლოდ ნარჩენების დაგროვება ხდება.</p>	<p>ნაგავსაყრელებად. რაც შეეხება უკვე არსებულ ნაგავსაყრელებს, კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, ისინი გააგრძელებენ მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვა, ან თუ სამინისტრო შეათანხმებს ნაგავსაყრელის სათანადო მდგომარეობაში მოყვანის გეგმას. იმ შემთხვევაში, თუ ნაგავსაყრელს არ აქვს შესაბამისი ნებართვა, მისი ოპერატორი ვალდებულია მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 6 თვის განმავლობაში, სამინისტროსთან შეათანხმოს ნაგავსაყრელის სათანადო მდგომარეობაში მოყვანის გეგმა. ამ პერიოდში ნაგავსაყრელი გააგრძელებს მუშაობას. საქართველოს მასშტაბით დაგეგმილია საერთო ჯამში 8 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონალური ნაგავსაყრელის გახსნა, რომლებმაც მთლიანად უნდა უზრუნველყოს ნარჩენების განთავსება.</p>
5.	<p>გადასახადები და პასუხისმგებლობის საშუალებები/ჯარიმები</p>	<p>➤ იკრძალება ნაგვის შენახვა ან დაყრა ამისთვის არ განსაზღვრულ და არ</p>	<p>დაბინძურების ხარისხის და დარღვევით განთავსებული ნარჩენების სახეობისა და რაოდენობის შესაბამისად, კოდექსი</p>

		სომხეთი	საქართველო
		<p>გათვალისწინებულ ადგილებში;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ნაგვის ტრანსპორტირება უნდა ორგანიზებულ იქნას ისე, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი გარემოს დაბინძურება;</li> <li>➤ ნაგავი განთავსდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ლიცენზირებულ ნაგავსაყრელებზე ან ექვემდებარება გადამუშავებას.</li> </ul> <p>სომხეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა ნაგვის გატანის სამუშაოების დროულად შეუსრულებლობის, შეუსაბამო ან გაუთვალისწინებელ ადგილებში ბუნკერებიდან, სანაგვე ყუთებიდან, ნაგვის მანქანებიდან, ასევე განსაზღვრული წესით ორგანიზებული და/ან განსაზღვრული ნაგავსაყრელების მიღმა ნაგვის დაყრისთვის (მუხლი 43.1). ჯარიმის</p>	<p>განსაზღვრავს კონკრეტულ საჯარიმო სანქციებს, რომელიც მერყეობს 80-დან 2000 ლარის ფარგლებში.</p> <p>მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიერ დაშვებული დარღვევების გამოვლენა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის კონტროლის დეპარტამენტის ფუნქციაა.</p>

		სომხეთი	საქართველო
		<p>მინიმალური ოდენობა შეადგენს 40000 სომხეთის რესპუბლიკის დრამს, მაქსიმალური ოდენობა - 300000 სომხეთის რესპუბლიკის დრამს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების უფლება და პასუხისმგებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაა.</p>	
	<p>მომსახურების საფასური თუ ადგილობრივი მოსაკრებელი?</p>	<p>სომხეთის რესპუბლიკაში ნაგვის გატანის და სანიტარული დასუფთავებისთვის განსაზღვრულია ადგილობრივი მოსაკრებელი: ხელშეკრულებები იდება თემსა და ოპერატორს შორის. ნაგვის გატანის და სანიტარული დასუფთავების შესახებ სომხეთის რესპუბლიკის კანონში მოქალაქეებთან მომსახურების გაწევის ხელშეკრულების დადება არ არის გათვალისწინებული.</p>	<p>საქართველოში განსაზღვრულია მომსახურების საფასური. თვითმმართველობის ორგანოები, ადგილზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე და განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში, თვითონ გადაწყვეტენ მყარი ნარჩენების გატანის მომსახურების საფასურს.</p>
<p>6</p>	<p>მიღწევები, მოუწესრუგებელი საკითხები, პრობლემები და გამოწვევები,</p>	<p>დღემდე არსებობს საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის მხოლოდ ერთი გზა - მათი გატანა და დაგროვება ნაგავსაყრელებზე. გარდა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა, ამ ნაგავსაყრელებზე გროვდება მეორადი ნედლეულის, ქაღალდის, მუყაოს, მინის, პლასტმასის და</p>	<p>სიახლე ისაა, რომ კოდექსს შემოაქვს გარემოს დაცვის გამგის სტატუსი. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფიზიკური და იურიდიულ პირი ვალდებულია ჰყავდეს გარემოს დაცვის გამგე, პირი, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენების მართვის გეგმის მომზადებისა და განახლების, გეგმის შესრულების ორგანიზებისა</p>

	სომხეთი	საქართველო
	<p>ლითონის დიდი რაოდენობა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას, რომ არსებობდეს მათი დახარისხების, შეგროვების და უტილიზაციის ეფექტური სისტემები.</p> <p>ნაგავსაყრელები ან ნაგვის დაყრის ადგილები აბინძურებს ლანდშაფტს, იკავებს სასარგებლო მიწის ნაკვეთებს და ვინაიდან სახლების, ბაღებისა და ბოსტნების მახლობლად არის განთავსებული, უშუალო საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას (უსიამოვნო სუნის, მავნე აირების). სხვადასხვაგვარი ცხოველები და მღრღნელები, რომლებიც მრავლდება ნაგავსაყრელებზე ქმნიან ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხეს. როგორც წესი, ყველა თემში განთავსებულია ერთნაირი ყუთები, რომლებიც არ არის განკუთვნილი ნაგვის დასახარისხებისათვის. სამშენებლო ნაგავი და სახიფათო ნარჩენები იყრება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილ ყუთებში.</p> <p>- ნაგვის კონტეინერების, ნაგვის ყუთების ირგვლივ ყოველთვის მიყრდნობილია და მიმოფანტულია ნაგავი,</p>	<p>და ნარჩენების მართვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობისათვის.</p> <p>მაგრამ კანონის მოთხოვნები კერძო სექტორის მიმართ ამით არ შემოიფარგლება.</p> <p>კოდექსი ასევე ითვალისწინებს "მწარმოებლის გაფართოებულ პასუხისმგებლობის" პრინციპს, რომელიც გულისხმობს, რომ ისეთი პროდუქტის (შესაფუთი, ზეთი, საბურავები, ელემენტები, აკუმულატორები, ელექტროხელსაწყო) შემთხვევაში, რომელიც შემდგომში იქცევა თავისებურ ნარჩენად, უშუალო მწარმოებლებმა და ბაზარზე შემტანებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ პროდუქტი იყოს ისეთი, რომ გარემოზე ნაკლებად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს და შესაძლო გახდეს ნარჩენების შემდგომი აღდგენა და განთავსება.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საკითხი რეგულირდება კანონმდებლობით, პრაქტიკაში ჯერ კიდევ არსებობს მოუგვარებელი საკითხები. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- არ არსებობს ნარჩენების მართვის ზოგადი ხასიათის ან კონკრეტული პრობლემების გადაჭრის სახელმწიფო სტანდარტები ან ტექნიკური</li> </ul>

		სომხეთი	საქართველო
		<p>რომელიც ძირითადად არ იწმინდება იმ სამსახურის თანამშრომლების მიერ, რომლებიც ახორციელებენ ნაგვის გატანის მომსახურებას.</p>	<p>რეგულაციები;  - კერძო სუბიექტების მიერ მყარი ნარჩენების გატანის მომსახურების გაწევის პრაქტიკა არ ეფუძნება მუნიციპალიტეტებთან დადებულ ხელშეკრულებას;  - მყარი ნარჩენების გატანა ხდება მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რაც შედარებით დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული;  - არ არსებობს მყარი ნარჩენების კატალოგი (ეროვნული სტანდარტები და ტექნიკური რეგულაცია), სადაც განსაზღვრული იქნება ნარჩენების კატეგორიები და კონკრეტული მიდგომები კატეგორიების მიხედვით.</p>
6.	<p><b>რეკომენდაციები</b></p>	<p>1. სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავდეს ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგია ნარჩენების მართვის, ნარჩენების შეგროვების, დახარისხების, მოცილების, ტრანსპორტირების, უტილიზაციის, გადამუშავების, გაუვნებელყოფის და განადგურების სფეროში.  2. სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნას</p>	<p>ევროპული მიდგომების გათვალისწინებით, შესაძლებელია დამუშავდეს მთელი რიგი რეკომენდაციები, რაც შემდგომში კიდევ უფრო გაუმჯობესდება და განხორციელდება სახელმწიფოს, საერთაშორისო პარტნიორების, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის და რიგითი მოქალაქეების ერთობლივი მიზნობრივი საქმიანობით:  -სახელმწიფომ უნდა შეძლოს კონკრეტული საკანონმდებლო</p>



		სომხეთი	საქართველო
		<p>მოყვანილი ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებთან. მკაფიოდ განისაზღვროს ნაგვის, ნარჩენების ყველა სახეობა, მათი დახარისხების, შეგროვების, შენახვის, ტრანსპორტირების, უტილიზაციის, გადამუშავების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ნაგავსაყრელების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ნაგავსაყრელების ექსპლუატაციის მიმართ მკაფიო პასუხისმგებლობის განსაზღვრა და პასუხისმგებლობის დაკონკრეტება.</p> <p>3. კანონმდებლობით ფართო შესაძლებლობა მიეცეს თემებს, რათა მიიღონ თემის ტერიტორიაზე სავალდებულოდ შესასრულებელი სამართლებრივი აქტები, ასევე დაადგინონ ტარიფები და საჯარიმო სანქციები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც არ შეასრულებენ ასეთი სამართლებრივი აქტების მოტხოვნებს, სომხეთის რესპუბლიკის ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებების, სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სფეროს</p>	<p>საგადასახადო პრივილეგიების განსაზღვრით, წახალისოს კერძო კომპანიები, რომლებიც გამარჯვებული ტენდერების შედეგად პერსპექტივაში ითანამშრომლებენ მუნიციპალიტეტებთან, მყარი ნარჩენების მართვის კუთხით. ამ შემთხვევაში დაიზოგება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საბიუჯეტო სახსრები, რომლებიც მიმართულია საქალაქო არა მეწარმე იურიდიული პირების და შპს-ების სუბსიდირებისკენ. მყარი ნარჩენების მართვა უფრო ეფექტური გახდება;</p> <p>- სახელმწიფო სტანდარტის - "მყარი ნარჩენების" შედგენა, სადაც განსაზღვრული იქნება ნარჩენების კატეგორიები და ამ კატეგორიების მიხედვით სპეციალური მიდგომები ნარჩენების დახარისხების და კატეგორიების მიხედვით გადატანის საფუძველი გახდება. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზრდება ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობა და მათი მეორადი გამოყენების ალბათობა;</p> <p>- "მყარი ნარჩენების კატალოგი" უნდა შემუშავდეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. ეს უნდა მიღებულ</p>

	სომხეთი	საქართველო
	<p>მარეგულირებელი კანონების მოთხოვნების დაცვით.</p> <p>4. გაძლიერდეს ამჟამად მოქმედი კანონების, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებების და საკუთარი სამართლებრივი აქტების შესრულების ზედამხედველობა.</p> <p>5. ნარჩენების მართვის, გარემოს დაცვის, სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორისი, სახელმწიფო, რეგიონალური, თემთაშორისი და შიდა სათემო პროგრამების განხორციელების წახალისება.</p> <p>6. უზრუნველყოფილ იქნას ხელსაყრელი და მიმზიდველი გარემო დაბინძურების პრევენციის და მეორადი ნედლეულის დამუშავების ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით.</p>	<p>იქნას მინისტრის ბრძანებით. როგორც სხვა ვარიანტი, კატალოგი შეიძლება დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის მიერ, რადგან ეს არის საერთო პრობლემა და მოიცავს ბევრ სხვა სფეროს. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ სტრატეგიული პროგრამების შემუშავების სფეროში, საჭიროა მყარი ნარჩენების მართვის ეროვნული გეგმის პარალელურად და "მყარი ნარჩენების კოდექსის" შესაბამისად, მათთვის სავალდებულო გახდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის საშუალოვადიანი სტრატეგიების შემუშავება.</p>

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუცია“  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429>
3. საქართველოს კანონი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216>
4. საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/93778>
5. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824>
6. „თვითმმართველობა კითხვა პასუხებში“, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია 2012.
7. საქართველოს კანონი "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" - საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდი. [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)
8. ალექსანდრე სვანიშვილი „თვითმმართველობის სისტემის ფუნქციონირების პრაქტიკა . ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“ 2012 წ.
9. ნინო კვერლელიძე „მყარი ნარჩენების მართვა საქართველოში“ –“Konrad Adenauer Stiftung” 2012 წ.
10. ДИРЕКТИВА № 2008/1/ЕС Европейского Парламента и Совета о комплексном предотвращении и контроле загрязнений. [http://zakon5.rada.gov.ua/laws/show/994\\_b02](http://zakon5.rada.gov.ua/laws/show/994_b02)
11. Environmental Protection Agency - “European waste catalogue and hazardous waste list” – 2002
12. United Cities and Local Governments. Decentralization and local governments in the world. Country Profiles. ჩამოტვირთულია 25/09/15 [http://www.cities-localgovernments.org/gold/country\\_profile\\_europa.asp](http://www.cities-localgovernments.org/gold/country_profile_europa.asp)